სახალხო გაზეთი

N 519 ოთხშაბათი, 8 თებერვალი 1912 წ. № 519

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; ფასდაუდებელი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** **ბ რ დ ღ ე მ ლ ს.**

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ეკატერინე და მარიამი კუნდელი, ანნა იაკოვლევისა, ბარბარე პიასეცკი-რონელი ქმრით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ და ძვირფას დედის

თინათინ აბრამის ასულის კუნდელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. მეორე პარალელის ქ. № 5. სახლიდან გაასვენებენ ოთხშაბათს, 8 თებერვალს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (1—233—1)

[illegible] დაშლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:— „კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.17)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„ბ რ დ ღ ე მ ლ ი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავადმ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო. ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—263)

განცხადება
მიხეილის სტგილ-მამულო სააზნაურო განკიჭამგეოგა ქუთაისში

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრმა ნება დართო ხსენებულ ბანკს გასცეს გძელ-ვადიანი სესხი ქობულეთის, მანგლისის, ცხვალის, მიხაილოვის, სურამის, ჭიათურის, ონის, და რედუტ-კალეს უძრავ მამულებზე იმავე წესით, რა წესითაც საზოგადოდ ქალაქების მამულებზე იცემა სესხი.

(3—1097—1)

დოქტორი მედიცინის წამლობა ძლეკის

ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—86)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (ტ. 1147 229)

ექიმი ა. **ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.39).

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა **ნ ი ნ ო რ ჩ ხ ი ლ ა ძ ე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი **ვ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. [illegible]

ექიმი **ქ. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—89).

ექიმი **შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი **ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—$5^1/_2$ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—19)

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც ვაჟთ, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.82)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 103)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 69).

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ქართული პრესა

ქუთაისში ახლად გამოსულ გაზეთ ცხოვრება"-ს სურს გაიგოს, თუ რაშია ხსნა ქართველ ხალხისა? თუმცა ჯერ საბოლოვოდ არ გამოურკვევია მხსნელ მალამოს თვისება, მაგრამ ეხლავე შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ. სანამ ამ საბოლოვო დასკვნამდე მივიდოდეს, „ცხოვრება" ჩვენი საზოგადოების დახასიათებასა სცდილობს.

ჩვენში ბრუნდი და მართალი ყველა საზოგადო საქმეზე ღაღადობს, — სწერს „ცხოვრება", — საზოგადო ინტერესებს ემსახურება და პირად ბედნიერების საკითხს უკანა რიგზე აყენებს. მაგრამ არსად საზოგადო საქმე ისეთს ცუდს მდგომარეობაში არ არის, როგორც ჩვენში, არსად პირად ინტერესებსა და სარგებლობას ისეთი ფართო ასპარეზი არა აქვს დათმობილი, როგორც ეს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში.

მეტად ცუდი მდგომარეობა ყოფილა. ჩვენც იმის მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ მადლობა არ უძღვნათ „ცხოვრება"-ს, რომელმაც მართლაც რომ გასაოცარი დაკვირვების ნიჭი გამოიჩინა, ამ შემთხვევაში. მაგრამ „ცხოვრება"-ს კიდევ ბევრი რამ სხვაც დაუნახავს. აბა ყური დაუგდეთ:

„ჩვენი ეგრეთ წოდებული საზოგადოება ისე დაწვრილმანდა, რომ მის წარმომადგენელთა ხელში ვერც ერთი საზოგადო საქმე ვერ ხეირობს. ეს გარემოება ძლიერ დამახასიათებელია იმ საზოგადოებრივი ჯგუფის, რომელიც დროთა ვითარებამ დღეს ცხოვრების წინა რიგში ჩააყენა. მასა, დემოკრატია თვალსაჩინო ადგილიდან გადდენეს (ეს „გადდენეს" რაღაა?), ბურთი და მოედანი სწორედ ამ წრეს დარჩა, რომელსაც ასე უყვარს საქვეყნო საქმეებზე ხმა-მაღლა ღაღადი და თავის ქება".

ეს მეორე აღმოჩენა პირველზე უფრო საყურადღებოა. ეტყობა ავტორის თვალწინ სულ ახალი ჰორიზონტი იშლება. აღნიშნა რა ეს ფაქტი, „ცხოვრება" მის სოციოლოგიურ-ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას შეუდგა.

„ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ მდგომარეობაში, მის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, (რატომ არ შეიძლება? ენა უძვლოა, აიტანს!) განსაკუთრებულ სტრუქტურაში. დასავლეთ ევროპის დიდ ერთა კულტურულ განვითარებას წინ უძღოდა ბურჟუაზია. იქ მან ააყვავა ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, ენა, საზოგადო დაწესებულებები, ერთი სიტყვით შექმნა თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურა. ყველაფერი ეს მან მოიმოქმედა უმთავრესად თავისი ახალგაზდობის დროს, როდესაც ის მედგრად ებრძოდა ძველ ქვეყანასა და მის ადათ-წესებს. დღეს იგი უკვე აღარ არის დაინტერესებული საზოგადოებრივ პროგრესში: მთელი მისი ენერგია იქითკენაა მიქცეული, რომ შეირჩინოს არსებული მდგომარეობა...

ხომ გაიგე, მკითხველო, რა ბრძნული, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ახსნაა?! დასავლეთ ევროპის დაჩანაკებული ბურჟუაზია დაინტერესებული აღარ არის პროგრესით და ამიტომ... „ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა ხელში ვერც ერთი საზოგადო საქმე ვერ ხეირობს... ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია ღრმად ჩაიბეჭდოს გულში ეს შესანიშნავი სოციოლოგიური „სალტო მორტალე".

სახელმწიფო სათათბირო

(დ ე პ ე შ ე ბ ი).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. განაგრძობენ ჯარისკაცთა და მათ ოჯახობისთვის დახმარების აღმოჩენის პროექტის განხილვას. 27-39 მუხლთა უმრავლესობა კომისიის რედაქციით მიიღეს.

მე-30 და მე-31 მუხლი, რომელიც ეხება ჯარისკაცთა ოჯახობისთვის პენსიის მოსპობას, **ვიშნევსკისა** და **შინგარიოვის** შესწორებით მიიღეს.

მე-40-44 მუხლი ეხება საგუბერნიო მმართველობის პენსიის შესახებ დადგენილებათა განსაჩივრებას.

ჩერვინსკის კომისიის მიერ შემუშავებული წესი განსაჩივრებისა უვარგისად მიაჩნია: ბევრს დავიდარაბასა და ხათაბალას მოითხოვსო. [illegible] განსახილველად შინაგან სამინისტროში განსაკუთრებულ უწყების დაარსება.

გუჩკოვი შინგარიოვს ემხრობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე **ლიკოშინი.** პრაქტიკულის თვალით თუ შევხედავთ საქმეს, დავინახავთ ახალ უწყების დაარსების უსარგებლობასა; ამიტომ წინააღმდეგია შინგარიოვის შესწორებისა.

მუხლი შინგარიოვის შესწორებით მიიღეს.

მუხლი, რომელიც ქვრივ-ობოლთა პენსიის მოთხოვნის უფლებას ეხება, მიიღეს შინგარიოვის შესწორებით.

მე-50 მუხლის გამო ლაპარაკობს **ფინანსთა მინისტრი ვებერი** და აღნიშნავს, მუხლის ძალით დედინაცვალი პენსიას მიიღებს როგორც ქვრივი და მისი შვილებიც, როგორც ობოლნიო. ამნაირად ორ პენსიას მიიღებს ერთი ოჯახი და ეს კი შეუძლებელიაო.

შინგარიოვი. საჭიროა ჯარისკაცთა მთლად ობოლთათვის და იმისთანა დასახიჩრებულთათვის, რომელთაც მუშაობის უნარი აღარ შესწევთ, პესსია ეძლეოდეთ 17 წლამდეო.

დანარჩენ მუხლთა უმრავლესობა კომისიის რედაქციით მიიღეს. ჯარის კაცთა ოჯახობის დამხმარე პროექტის განხილვის შემდეგ **შინგარიოვმა** წინადადება შეიტანა, ხოლმშჩინის გამოყოფის საკითხის განხილვა გადავდოთ და 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შევუდგეთო და სათათბიროც დათანხმდა.

კოვევნიკოვი აღნიშნავს საზღვაო უწყებაში აღმოჩენილ უწესობებს და სენატორის რევიზიის დანიშვნას მოითხოვს.

ესმანი აღნიშნავს, შეუწერელ გადასახადთა დეპარტამენტისა და ხაზინის სასმელ დუქნების სმეტა მშვენივრად არის შედგენილიო. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა დასრულდა და ფორმულის მიღება ოთხშაბათისთვის გადასდეს.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომას ჯერ **როძიანკო** თავმჯდომარეობდა. შემდეგ თ-დი **ვოლკონსკი.** გამოაცხადეს განსახილველ საგანთა სია, სხვათა შორის სამაზრო და საგუბერნიო დაწესებულებათა დებულების მე-38 მუხლის ცვლილებათა პროექტი. უკამათოდ მიიღეს ციმბირის გუბერნიებსა და ოლქებში საერობო თვით-მართველობის შემოღების კანონპროექტი. განსახილველია პოლონეთის სამეფოში ქალაქის თვითმართველობათა რეფორმის კანონპროექტ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით ახალი კანონი არ უნდა შეეხოს ხოლმსის გუბერნიის ქალაქებს: ბელგორაიას, გრუბეშოვს, ზამოსტიეს, ტომაშოვს, ხოლმს: ლუბლინის გუბერნ. ზელსა კლადოვსა და სედლეც. გუბერნიასა. პროექტის შესავალი კადეტებისა და ამ შესწორებით მიიღეს.

მე-8 მუხლის გამო ლაპარაკობს **ბულატი.** მოითხოვს სუვალკის გუბერნიაში შინაურ საქმეთა წარმოებისათვის ლიტველთა ენა იხმარებოდესო.

გრაბსკი. ამოვშალოთ დადგენილება, რის ძალითაც თავმჯდომარემ რუსული ენის საშუალებით უნდა აწარმოოს სხდომა.

ბობრინსკი. სუვალკის გუბერნიაში 80 პროცენტს ლიტველები შეადგენენ და საჭიროა აქ ლიტველების ენა იხმარებოდეს.

სათათბიროს 107 ხმის უმეტესობით მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესწორება, რის ძალითაც ყველა წიგნები და დოკუმენტები რუსულად უნდა იყოს დაწერილი. კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ სათათბირომ იგი მიიღო.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **თბილისში დაბრუნდნენ.** მუღანიდან მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული პ. პ. არხიპოვი და მიწად-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი პ. ნ. საკოვნინი, რომელთაც სასოფლო სამეურნეო საცდელ მინდვრის გასამართად მუღანში ადგილი აურჩევიათ, გროზნისა და სტოლიპინის საზღვარზე. ბ-ნი საკოვნინი 6 თებერვალს კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა.

✦ **ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების** სამეურნეო კომიტეტმა ქალაქის თვითმმართველობას მადლობა გადაუხადა იმ ნივთიერ დახმარებისთვის, რომელსაც ქალაქისაგან ყოველ წლივ იღებს და თან აცნობა, რომ ამ სასწავლებელში ორი სტიპენდია (თითო 125 მან.) დაარსდა ქალაქის თვითმართველობის სახელობაზე. სტიპენდიები მიეცემათ მხოლოდ ტფილისის მცხოვრებთ, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

✦ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების საბჭომ** ინსტრუქტორი თ. ა. ტროფიმოვი ქუთაისის გუბერნიაში გაჰგზავნა, რათა ადგილობრივ გაიცნოს ფრინველთა მოშენების საქმე.

✦ **„კაპეიკის" საზოგადოებას** 800 მან. წმინდა მოგება დარჩა იმ საღამოდან, რომელიც 31 იანვარს „ტფილისის კრუჟოკ"-ში გამართა.

✦ **ტფ. საპოლიტეხნიკო კურსების** წესდების პროექტი და ხარჯთ-

აღრიცხვა საბოლოოდ შეიმუშავა საგანგებო კომისიამ. ამ დღეებში კურსების დამაარსებელთა საერთო კრება მოხდება პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად.

✦ **პროგიმნაზია ავლაბარში.** ავლაბრის კლუბის მამასახლისთა საბჭო 12 თებერვლისათვის კავკასიის სამოსწავლო უწყებისა, ქალაქის თვითმმართველობისა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთა კრებას იწვევს ავლაბარში განზრახულ პროგიმნაზიის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

✦ **რეფერატი.** 18 თებერვალს საზოგადო კლუბში ა. ს. ბაბოვი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ბინის საკითხი“.

✦ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** წესდება ამ დღეებში გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **სახალხო სახლის გამგე კომისიაში** ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად ა. ბ. მდივანი აირჩია.

✦ 6 თებერვალს ტფილისში 45 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ სოფ. მარტვილში (სენაკის მაზრა) შეიპყრეს და ტფილისში ჩამოიყვანეს სამსონ კაზარავა, რომელსაც 1911 წ. ტფილისში 1955 მანეთის ნივთების მოპარვა ბრალდება ,,მუხრანი''-ს ნომრებიდან.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ექიმთა და ბუნების მეტყველთა მე-13 კრების** სამეურნეო ბიუროს კრება 9 თებერვალს მოხდება თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება დღეს მოხდება. კომისია მსჯელობას იქონიებს ხორცის ვაჭრობის მოწესრიგების თაობაზე.

✦ **კაპეიკის“ საზოგადოების** კრება დღეს მოხდება.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა, შეუკვეთოს მხატვარს კ. ქავთარაძეს ქართველ მსახიობთა, დრამატურგთა და მოღვაწეთა 29 სურათი.

✦ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის** კრება 13 თებერვალს მოხდება.

ქუთაისი.

გამგეობას მოუვიდა ცნობა ტფილისიდან, რომ დიდმარხვის მეორე კვირიდან ქ. თეატრის შენობა იქირავა ტფილისის საოპერო დასმა. ამ დასში მონაწილეობას იღებს, სხვათა შორის, ქ-ნი თარხნიშვილი.

✦ ზემო სვანეთიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში სვანეთიდან ლეჩხუმს მიმავალი სამი სვანი **თოვლის ზვავს მოჰყოლია** და დაღუპულა. მათი გვამები ვერ უპოვიათ.

✦ ექიმ ჟორდანიას, მღვდელ რაჟდენ ჭალაკანიძეს, და მასწავლებელ ქაცარავას განუზრახავს დ. ნაღოლევში დაარსონ **სასოფლო ბანკი.**

✦ სამოსამართლო პალატის სესია მარტში ქუთაისში გაარჩევს **ფარნა გეგელიას საქმეს.** გეგელიას აბრალებენ სენაკის მაზრაში აგრარულ მოძრაობის ხელმძღვანელობას 1905 წ.

✦ ახალი სასწავლებელი, ს. ივანდიდში დაარსდა სასოფლო **ორ-კლასიანი სასწავლებელი.** მასწავლებლად დანიშნეს: ღანირის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველი ილიკო ქუთათელაძე, და კუხის სკოლის გამგე მიტრაფანე მაჭარაძე.

✦ ქუთაისის საკრებულო დარბაზში შაბათს, ოთხ თებერვალს. ჩვეულებრივი **სამასკარადო საღამო** გაიმართა. საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო.

✦ წარმოდგენების საზამთრო სეზონი დასრულდა 5 თებერვალს. დიდი მარხვის დადგომის გამო წარმოდგენების მართვა შეწყდა. **საზაფხულო სეზონი ქუთაისში** გაიხსნება 19 მარტს.

✦ რამოდენიმე დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი **ალექსანდრე გალუსტოვი.** დაკრძალეს 5 თებერვალს დ. ხონში. განსვენებული საკმაოთ განვითარებული და საზოგადო საქმის მოყვარული იყო.

✦ 5 თებერვალს ქუთაისში მოვიდა თოვლი რომელმაც გამოფოთლილი მცენარეები დასუსხა.

✦ ს. კუხიდან გვწერენ: ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ წელსაც შეიძინა 3000 კოლოფი პასხალიდის ფირმის აბრეშუმის თესლი. („ცხოვრება“).

ბაქო

✦ ქალაქის შუა ნაწილში, დიდს ქუჩაზე, **იარაღის საწყობი აღმოაჩინეს,** სადაც იპოვეს: ჯოჯოხეთის მანქანა, ყუმბარები, თოფები, რევოლვერები და 40,000 პატრონი. შე- [illegible]

✦ **ცატუროვის სახლის** იატაკს ქვეშ აღმოაჩინეს 30 თოფი, 15 რევოლვერი, 100.000. ტყვია, რამდენიმე ყუმბარა და ყუთი ასაფეთქებელი მასალით.

ჰაჯი რუსულა ახუნდოვი.

(წერილი ბაქოდან).

ამას წინად, იანვარში, ბაქოში მოჰკლეს მოლა ჰაჯი რუსულა ახუნდოვი. ამ მკვლელობამ საშინლად ააღელვა მთელი აქაური მაჰმადიანობა. მოლა ახუნდოვი მოწინავე კაცი იყო: სიტყვით, კალმით თუ საქმით ხელს უწყობდა ყოველგვარ კულტურულ საქმეს და სცდილობდა თანამოძმეთა განათლებას. ამ ნიადაგზე გაუჩნდნენ მტრები, რომელთაც ბოლოს სიცოცხლესაც გამოასალმეს.

განსვენებული მოჰკლეს საკუთარ სახლში, იმ დროს, როდესაც შინ არავინ იყო—არც ცოლი და არც შვილები. საღამოს ნამაზზე (ლოცვა) იდგა, როდესაც ჩუმად შეიპარა რამდენიმე მკვლელი, უკანიდან რევოლვერი დაახალა და იქვე სიცოცხლე მოუსწრაფა.

როგორც ვთქვით, ამ მკვლელობამ ფეხზე დააყენა მთელი მოწინავე თათრობა. სწუხდა და გლოვობდა უფრო მაჰმადიანთა ჯერეთ კიდევ მცირე-რიცხოვანი ინტელიგენცია, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის სწავლა-განათლების მნიშვნელობა და იცის, რა დიდი დანაკლისია ახუნდოვისთანა კაცის დაკარგვა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის თვალის ახელას მოანდომა.

მესამე დღეს დაკრძალვას დიდძალი თათრობა დაესწრო. იყვნენ აგრეთვე სომხებისა და ებრაელების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი ხმოსნებითურთ და სხვანი. მაჰმადიანებმა გვირგვინები არ იციან. გვირგვინების ნაცვლად კუბოს ამკობდა ძვირფასი შალები ლენტებით. შალები იყო: თათართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, „საადეთ“-ის, „ნეჯათ“-ის და „იტიჰათ“-ის საზოგადოებათაგან (კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებები), რუსს-თათრულ სკოლების მასწავლებელ-მოსწავლეთაგან, ქალთა გაზეთის „იშიგ“-ისაგან (ქვეყანა), გაზეთ „ენი ირშად“-ის (ახალი გზის მაჩვენებელი) რედაქციისა და ასოთ-ამწყობებისაგან, გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მაჰმადიან მოსწავლეთაგან და სხვ. სასულიერო პირებს გარდა სიტყვები წარმოსთქვეს სხვებმა, ხოლო ინტელიგენციის სახელით—პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრმა მარდან-ბეკ თოფჩიბაშევმა.

განსვენებული მოლა 62 წლის კაცი იყო. მამა მისი, აგრეთვე მოლა, ბაქოს გუბერნიიდან იყო, ყუბის მაზრიდან. [illegible]ლამდე სწავლობდა აქ, ჯერ მამას, მერე სხვა მოლასთან. 15 წლისა, როდესაც სპარსეთს გაგზავნეს სწავლის განსაგრძობად: ხუთ წელს ყაზვინში სწავლობდა, [illegible]-თეირანში, ოთხსაც—რეშტში. 28 წლისა იყო, როდესაც სპარსეთიდან დაბრუნდა. ცამეტი წელი ასტრახანში იყო მოლად, მერე ბაქოში გადმოიყვანეს და 18 წლის განმავლობაში აქ, თაზა-მეჩითში, ასრულებდა ამავე თანამდებობას.

ამ ხნის განმავლობაში ბაქოს მაჰმადიანთა წრეში არც ერთი კულტურული საქმე არ გაკეთებულა, რომელშიაც განსვენებულ მოლას მონაწილეობა არ მიეღოს. ჩვენებური (ამიერ-კასპიელი) თათრობა სწავლა-განათლების საქმეში ჯერ ეხლაც ძალიან ჩამორჩენილი და ადვილად მიჰხვდება მკითხველი, რა იქნებოდა თხუთმეტ-ოცი წლის წინად. ის იყო იწყეს საერო სკოლების დაარსება, მანამდე კი სკოლები მარტო მეჩეთებთან არსებობდა. ამ სკოლებს ქალაქის თვით-მმართველობა აარსებდა. ეძახდნენ და ეხლაც ეძახიან რუს-თათრულ სკოლებს. თათრები, განსაკუთრებით სამღვდელოება, ძალიან მტრულად მიეგებნენ ამ სკოლებს. აგიტაციასაც კი ეწეოდნენ და ურჩევდნენ ყველას —ნუ მისცემთ შვილებს მაგ ეშმაკის კერა სკოლებშიო. მოლა რახულა ახუნდოვმა პირველმა ამოიღო ხმა ამ სკოლების სასარგებლოდ და ურჩევდა ყველას შვილების მიცემას. ამასთანავე ხსენებულ სამღვთო სჯულის მასწავლებლობაც იკისრა. დღეს ასეთი სკოლა ბაქოში თოთხმეტია (10 ვაჟებისათვის და 4 ქალებისათვის) და ყველა სავსეა თათრის ბავშვებით.

დიდ მონაწილეობას იღებდა განსვენებული აგრეთვე თათრულ კულტურულ საზოგადოებებში. ათიოდე წელიწადი არც კია, რაც ბაქოში ასეთი საზოგადოებები დაარსდა და მოლა ახუნდოვი თითქმის ყველგან მუშაობდა. ორგან—წერა-კითხვის და „საადეთ“-ის საზოგადოებებში—გამგეობის წევრადაც იყო.

განსვენებული თათრულ გაზეთებშიაც თანამშრომლობდა. პირველი თათრული გაზეთი აქ „ირშადი“ ([illegible]) იყო. დაარსა იგი აღაევმა, რომელიც ეხლა სტამბოლში სცხოვრობს. პირველი მოლა, რომელმაც ამ პირველ გაზეთში დაიწყო თანამშრომლობა, იგივე ახუნდოვი იყო. „ირშადს“ მალე სხვა გაზეთებიც მოჰყვა და ახუნდოვი შეძლებისამებრ ყველგან მუშაობდა. აი ეს გაზეთები „თარაქი“ (პროგრესი), „ფეიუზათი“ (კეთილი), „დაბისტანი“ (სკოლა), „ჰაიათი“ (ცხოვრება), „ენი ირშადი“ (ახალი გზის მაჩვენებელი). ინდოეთს, ქალაქ კალკუტას გამოდის სპარსული ჟურნალი „აბდულ მათინ“ (ჭეშმარიტი გზა), ხოლო სტამბოლში—ოსმალური ჟურნალი „მალუმათ“ (ცნობები). ახუნდოვი ორივე ამ ჟურნალში თანამშრომლობდა (კარგად იცოდა არაბული, სპარსული და ოსმალური).

განსვენებულმა ცალკე გამოცემანიც დასტოვა: არაბულიდან სთარგმნა დიდი რომანი „ინგლისელი მანდილოსანი“, რომლის შინაარსიც აღებულია ინდოეთის 1858 წლის აჯანყების დროიდან. მეორე წიგნი, რომანივე, სპარსულიდან არის თარგმნილი და სახელად ჰქვია „ორი ობოლის ცხოვრება“. დარჩა მრავალი ხელთნაწერი—ექვსი წიგნი,—აქედან ზოგი ორიგინალურია, ზოგიც თარგმანი.

განსვენებული დიდი მომხრე იყო მაჰმადიანი ქალის ემანსიპაციისა და ამ საგანზე ბევრსა სწერდა და აგრეთვე ქადაგებდა როგორც მეჩითში, ისე მისს გარედ.

ასეთ კულტურულ მუშაობისთვის უვიცნი და ფანატიკოსნი საშინლად ამხედრდნენ პირველ ხანებში მოლა ახუნდოვის წინააღმდეგ, ბევრი მტერი ჰყავდა, განსაკუთრებით სამღვდელოებაში, ესენი „გიაურს“ ეძახდნენ, მაგრამ მალე მოკეთენიც და მოხრენიც გაუჩნდნენ. რაც დრო და ხანი გადიოდა, ამით რიცხვი მატულობდა. სამწუხაროდ, ბნელმა ძალებმა მაინც თავისი გაიტანეს და პირდაპირ, აშკარად რომ ვერაფერი გააწყეს, მიპარვით მოუღეს ბოლო ამ იშვიათ მოღვაწეს.

ხმა ხაშურიდან

ხაშურელებმაც მაგრად მოჰკიდეს ხელი თავიანთ შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს. მათ კარგა ხანია შეადგინეს საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს საკუთარ გიმნაზიის დაარსება. ბევრმა აქაურმა მკვიდრმა ერთდროულად დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმის შეწირულებით. თვითეულ წევრს საზოგადოებისას შეაქვს საწევრო გადასა[illegible] ამისა რკინის გზის აქაური სადგურის ყველა [illegible]ხურე ვალდებულია, წესდების ძალით, გადიხადოს საზოგადოების სასარგებლოდ 1% თვისი ჯამაგირიდამ.

ხაშურის საზოგადოებას აქვს დღეს საკუთარი ოთხ კლასიანი კერძო სასწავლებელი პროგიმნაზიულ კურსით და ორ [illegible]. საზოგადოებას არჩეული ჰყავს მმართველი კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს იზრუნოს სკოლის წარმატებისათვის. კომიტეტმა განიზრახა მოიპოვოს სკოლისთვის უფლება და იმედია ეს სურვილი მალე განხორციელდება.

წელს ნოემბერში სასწავლებელი დაათვალიერა თფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ბტ. ფედოროვსკიმ, გამოსცადა შეგირდები, კმაყოფილი დარჩა და დაჰპირდა საზოგადოებას შუამდგომლობას უმაღლესს მთავრობის წინაშე, რათა სკოლას უფლება მიანიჭონ. გარდა ამისა 31 იანვარს ჩამობრძანდა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის უმფროსი თანაშემწე ბტ. ლაპატინსკი, გამოსცადა ყველა კლასების მოწაფეები, იგიც კმაყოფილი დარჩა და დაჰპირდა საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ თქვენი სასწავლებელი მთავრობის პროგიმნაზიის უფლებას მიიღებსო.

ამგვარად ეხლა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოკლე ხანში ხაშურის საზოგადოების კერძო სასწავლებელს უფლება მიენიჭება.

გარდა ამისა ხაშურის საზოგადოებას დიდი სურვილი აქვს შეუერთდეს დ. სურამის საზოგადოებას და ორივე საზოგადოებამ ერთი საკუთარი სრული გიმნაზია დაარსონ. ამ საკითხის გადასაწყვეტად დიდიხან მოლაპარაკება გამართული. აირჩიეს კომისია პირობების გამოსარკვევად და ადგილის ასარჩევად, სადაც უნდა აგონ საერთო გიმნაზიისათვის საკუთარი სადგომი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ შეთანხმდნენ. მისი უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ორივე საზოგადოებას სურს, სასწავლებელი უფრო ახლოს ექნეს. მაინც კიდევ იმედი გვაქვს, ეს საქმეც კეთილად გათავდება, უკეთუ ქართულმა ჯიბრობამ არ გაიმარჯვა. უკეთუ ეს ორი საზოგადოება მორიგდნენ და შეერთდნენ, მაშინ ადვილად შეიძლება ერთი დამთავრებული სასწავლებელი დაარსონ, რომელსაც მოწაფენიც მრავალი ეყოლება და სახსარიც საკმაო ექნება.

სკოლის ხარჯის დასაფარავად ხაშურის საზოგადოება იძულებულია [illegible] ფასს მოუმატოს. ეს გარემოება ზოგიერთ მშობლებს აბრკოლებს, თავიანთი შვილები საზოგადოების პროგიმნაზიაში შეიყვანონ, და არც სურამის საზოგადოების სკო-

წერილი პეტერბურგიდან

27 იანვარს რუსულ საიმპ. გეოგრაფიულ საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილებაში ბ. ნ. ს. დერჟავინმა (თანამშრომელი წევრია საზოგადოებისა), წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: **„ძველი ქართული ამქრულ ორგანიზაციების კვალი თანამედროვე ქართველ ხელოსანთა ცხოვრებაში“.**

მომხსენებელს ამ სფერაში თითქმის წინამორბედი არ ჰყოლია. საერთო კავკასიის ცეხებზე უწერიათ, მაგ., ეგიაზაროვს, რომლის შრომითაც მომხსენებლის სიტყვით, შემდეგი მკვლევარნი სარგებლობდნენ (გოგიჩაიშვილი და სხ.), შეჰხებია აგრეთვე ამავე საკითხს ჰასტჰაუზენი და სხ.

მომხსენებელს თითონ დაუვლია ქ. გორი და გასცნობია ადგილობრივ ცეხის ვითარებას. მისი დაკვირვება და ცნობები, რომელიც 27 იანვარს მოახსენა კრებას, განსაზღვრულია და მხოლოდ ქ. გორით თავდება. ამიტომაც ზოგიერთი ცეხის დახასიათებაც სუსტი აღმოჩნდა, ზოგიც კი სრულიად გამორჩა. მაგალითად ჩუქურთმის და ქვის მთლელთა ცეხები, მეეტლების ცეხები და სხვ. მაგრამ ეს ისეთი ნაკლი არის, რომლის გასწორება ადვილია და რომელიც აზრადაც ჰქონია ნ. ს. დერჟავინს.

კრებას თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი ს. თ. ოლდენბურგსკი. დაესწრნენ კრებას ორდინ. აკადემიკი ვ. თ. მილერი, აკადემიკი ნ. ი. მარრი და სხ.

წლიურ ანგარიშის მოსმენის შემდეგ კათედრაზე დერჟავინი ავიდა. მომხსენებელი შეეხო მოკლედ დასავლეთ ევროპის ცეხების ისტორიას. აღნიშნა რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ევროპისათვის. „ცეხების ისტორიის დასაწყისს რომში და გერმანიაში ეძებენო“, სთქვა მომხსენებელმა, „და აღმოსავლეთი კი თითქმის შეუმჩნევლად რჩება. ქართული ცეხების შესწავლა მცირე სამსახურს არ გაუწევდა ცეხების საერთო ისტორიას, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი სრულიად უცნობია და მივიწყებულია მეცნიერებისაგანაო. ქართული „ამქარი“ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, უფრო ძველია და უფრო გძელი ისტორია აქვს, ვიდრე ევროპისაო. ცეხები („ამქარი“) თავის თავად ცხადია, გავრცელებული იქნებოდა მთელ აღმოსავლეთში: ჩინეთში, სპარსეთში, სომხეთში და სხვ., მაგრამ იმის თქმა, რომ ქართული ცეხები სხვა ხალხის ზედგავლენით არის წარმოშობილი არ შეიძლებაო. ზოგიერთ აღმოსავლეთის ხალხს ახლაც აქვთ ცეხები, მაგრამ წმინდა სახე, წმინდა ორგანიზაცია მხოლოდ ქართულ „ამქარს“ დაუცავს და შეუნარჩუნებიაო. მაგრამ საუბედუროდ „ამქარი“ თანდათან ჰქრება, სუსტდება და სანამ სრულიად არ ამოფხვრილა, საჭიროა მისი შესწავლა და გამოკვლევა. შემდეგ შეეხო „ამქრის“ შესახებ დაწერილ შრომას და როგორც ზევით ვსთქვი, საუკეთესო შრომად ეგიაზაროვის თხზულება აღნიშნა. სხვა რუსულ ლიტერატურაში არაფერი არ მოიპოვა „ამქრების“ შესახებ.

„ამქრების“ დაქვეითების მიზეზად, მომხსენებელს მთავრობის პოლიტიკა მიაჩნია. მე-13 საუკუნე და მე-17 საუკუნის ბოლო ცეხის აყვავების ხანად შეიძლება ჩაითვალოს. შემდეგ კი მისი როლი თანდათან სუსტდება, ჰკარგავს თვის მნიშვნელობას და ახლა მხოლოდ ჩონჩხი-ღა დარჩენილა. მას შემდეგ რაც რუსეთის მთავრობამ საქართველოში ფეხის მოკიდება დაიწყო, ცეხების კომპეტენციაც თანდათან ისაზღვრება და ვიწროვდება. ახალმა კანონმდებლობამ გააუქმა ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელსაც „ამქარი“ ემორჩილებოდა, მისი უფლებაც შემოფარგლა. თანდათან, სისტემატიურად აცლის ერთი მეორეზე უფლებებს. „ამქრებს“ ძველად უფლება ჰქონდათ სამართლის გაჩენის. ყოველ-გვარი საქმის გარჩევა, გარდა მკვლელობისა, მათ უფლებას შეადგენს. ეს გარემოება დიდ ძალას აძლევდა „ამქარს“ და ამიტომაც გავლენაც დიდი იყო. მაგრამ რუსულ კანონმდებლობამ ეს უფლება მიითვისა და „ამქრები“ იძულებული გახდნენ ერთ-ერთი, ძლიერი იარაღი თავის გავლენის გასამტკიცებლად ხელიდან გაეშვათ.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ქ. გორის „ამქრების“ კერძო დახასიათებაზე. გორში მას 8 „ამქარი“ შეუსწავლია. შესწავლა იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ გამოკითხავდა თუ რა წესი ჰქონია რომელიმე ცეხს, როგორი ორგანიზაცია, იარაღების სახელი, ლეგენდების ჩაწერა და სხვა. ამ რიგად აღნიშნა ყოველ მათგანის თვისება და ხასიათი. მომხსენებელის აზრით ჩვენებური „ამქარი“ კერპთთაყვანისმცემლობის დროინდელია. ჯერ, პირველ ხანებში სუსტი იყო და საერთო ხასიათი არ ჰქონია; მხოლოდ მე-12 საუკუნიდან „ამქარი“ თანდათან ვრცელდება მთელ საქართველოში და ბოლოს საერთო მოვლენად იქცევაო. „ამქრობაში“ შედიოდა ყველა, აზნაურების და სამღვდელოების გარდა.

ცეხის წევრები სწორუფლებიანი პირნი იყვნენ: ჰყავდათ მეთაური; „უსტაბაში“, იღებდნენ შეგირდებს, რის დროსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ნიჭს და უნარს. შეგირდათ იღებდნენ 9-18 წლამდე. პირობით ეკვროდნენ ხოლმე შეგირდის მშობლებს. სწავლა საფასურით იყო, ახლა კი უფასოა. როცა შეგირდი ცეხში შევიდოდა, იგი იძულებული იყო დამორჩილებოდა წეს-რიგს, ყოველივე მოთხოვნილება უნდა აესრულებინა: მორჩილება, სათნოება, ზნეობა, პატივისცემა: ეს აუცილებელი თვისება იყო ცეხისა. უსტაბაშებს დიდი უფლება ჰქონდათ: მათ შეეძლოთ სამართალი გაეჩინათ, დაესაჯათ კიდეც დამნაშავე. ყოველგვარი დანაშაული გარდა მკვლელობისა, როგორც უკვე აღვნიშნე, მის კომპეტენციაში შედიოდა. გარეშე პირთან ურთიერთობა მხოლოდ უსტაბაშს ეკუთვნოდა, იგი ერთგვარი პატრონი იყო ცეხის წევრისათვის, შეგირდებისათვის. 3—5 წლის შემდეგ შეგირდი თითონ ოსტატად გახდებოდა და მაშინ ისეთივე უფლებებს მოიპოვებდა როგორიც სხვა ოსტატებს ჰქონდათ. ცეხში გავრცელებული იყო ძლიერ ქველმოქმედების, ურთიერთ დახმარების გრძნობა. დაზარალებულთ დახმარებას საერთო კასიდან აღმოუჩენდნენ. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ცალ-ცალკე ცეხის დახასიათებაზე და მათი ორგანიზაცია ასწერა. როგორცა ვსთქვი ზევით, ქ. გორში მას 8 ამქარი შეუსწავლია: მჭედლების, ჰონების, თერძების, მეწუღების, მექალამნების, მექვაბეების, დურგლების და დალაქების. ყველა ამქრის ორგანიზაცია, წესი თითქმის ერთგვარია, ცოტა რამ განსხვავებით და ამიტომ ერთ, მჭედლების ცეხის წყობილებას მოვიყვან.

ცეხს მეთაურობს (მჭედლების ცეხს) უსტაბაში, რომელიც ამორჩეულია იმავე ხელობის ოსტატებისაგან. შეგირდები ან ქარგალი, ცეხში არ შედიან. ოსტატის წოდების მისაღებად ქარგალმა უნდა იმსახუროს ოსტატთან და გადაიხადოს 30—50 მანეთამდე. სწავლა გრძელდება ხუთ წლამდე. ზოგიერთ ცეხში 3—5-დე ახლა კი მხოლოდ სამი წელიწადია. ოსტატ აღიარების წესი ასეთია: აღდგომის კვირის ორშაბათიდან ამაღლებამდე, ორშაბათობით მუშაობა არ არის. ეს დღეები „ქრისტეს დღეებად“ ითვლება. ამ ხანში იმართება „ამქრული სადილი“ რომლის შემდეგ ისევ იწყება მუშაობა ორშაბათობით. ასეთ სადილს „საღვთო“ ეწოდება. მაშინ სწარმოებს შეგირდების ოსტატად აღიარება, უსტაბაში შემოარტყამს ყველა შეგირდს აბრეშუმის ქამარს და ჩაურჭობს ქამარში თავის ხელობის იარაღებს. შემდეგ გაიმართება სადილი, ქეიფი სადმე მინდორში. შეგირდები სავსე თასს მიართმევენ ოსტატებს და თან კოცნიან ერთმანეთს. რამდენიმე დღის შემდეგ ყოველი ოსტატი თავთავიანთ შეგირდს შემოხსნის ქამარს და იარაღს ამოაცლის. ამის იქით შეგირდი უკვე ოსტატია თანაბარ უფლებით. ამ პროცესის დროს აგრეთვე უფროსი, ოსტატი მიმართავს შეგირდს სიტყვით, ცეხის მფარველის სახელით და არიგებს როგორ უნდა იყოს მისი მოქცევა, როგორი დამოკიდებულება დაიჭიროს სხვებთან, როგორ უნდა სცეს პატივი ცეხის ჩვეულებას და სხვ. სადილი ცეხის ხარჯით იმართება. შეგირდი, რომელიც ოსტატად ხდება, ვალდებულია შეიტანოს კასაში სამი მანეთი.

თითქმის ასეთივე წესი არსებობს სხვა ცეხებშიც. ყოველ ცეხს ჰყავს თვისი მფარველი, რომლისგანაც წარმოსდგა რომელიმე ხელობა. ამ ფარველების შესახებ არსებობს ლეგენდები, რომელიც მომხსენებელს ჩაუწერია. მაგალითად: მჭედლების — „ოპელტ-პოპელი“ და ლეგენდა ამირზე. სიტყვა „ოპელტ-პოპელტი“ გაუგებარია და ვერც მომხსენებელმა ახსნა. არ ვიცი საიდანაა წარმომდგარი ეს სიტყვება. მომხსენებელმა გამოსთქვა ის აზრი რომ „ოპელტ-პოპელი“ უნდა იყოს დაბადებაში ნახმარი სიტყვის გადამახინჯებული ფორმა, ან და უბრალო „სიტყვების თამაში“ (игра словъ). მექუდეებს ჰყავთ ვიღაც მარქარ ენოქი, რომელმაც პირველად შეკერა ბუხრის ქუდი. თერძებს, ადამი და ევა. მერკინეებს—დავითი. დალაქებს აბრაამი და სხვა. ეს ლეგენდები ცოტად თუ ბევრად ცნობილია ჩვენში და წერილს არ გავაგრძელებ.

დასასრულ, მომხსენებელმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობამ ყოველი ხერხი იხმარა მოესპო წესები საქართველოში და მიზანსაც მიაღწიაო. დღეს მხოლოდ, მარტო ჩონჩხი დარჩენილა, რომლის უწინდელი სხეულის შესახებ წარმოდგენა გადმოცემაში და მოხუცებულთა ხსოვნაში დარჩენილაო. „ეს არის ყველაფერი რაც მომცა მარტო ქ. გორში მოგზაურობამ და ვნახოთ შემდეგ წლებში, იმერეთში მოგზაურობა რამდენად შეავსებს ამ ფრიად საინტერესო და საყურადღებო საკითხის ისტორიასო“.

მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, აკადემიკ. მილლერმა და მარრმა, და კიდევ რამდენიმე ცნობის მოყვარე დამსწრემ.

მილლერმა უფრო ყურადღება შემდეგ გარემოებას მიაქცია: ერთი რომ ზოგიერთი ლეგენდა სავსებით არ შეესაბამება ცეხის შინაარს. მაგრამ ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ქ. გორში ასეთი ლეგენდა დარჩენილა, სხვაგან შეიძლება სხვანაირი იყოს. ამაში რასაკვირველია მაშინ დავრწმუნდებით, როცა სხვა კუთხეც იქნება შესწავლილიო. შემდეგ ის აზრი გამოთქვა რომ „ამქარი“ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული არ უნდა იყოს. არ უნდა იყოს იმიტომ, რომ ბევრი მუსულმანური ჩვეულებაა დაცული, ბევრი ირანიის ლეგენდა და სახელები, სომხური ტერმინოლოგია და სხვაო. მაგალითად ბერძნულიც ბევრია. „გონიოს, გონია“, მერე „მავარი“ და სხვა. აკად. ნ. მარრი არ დაეთანხმა უკანასკნელ აზრს, რომ „მას არ“ ბერძნული ან რუსული და სხვ. იყოს და კატეგორიულად განაცხადა, რომ ეს სიტყვა სომხურია და ნიშნავს „წინასწარმეტყველს“... ამასთან გაკვრით შეეხო ჩვენში ცეხების წარმოშობას. დაეთანხმა იმ აზრს, რომ ტერმინოლოგია მართლაც და ქართული არ არის ყველა, მაგრამ (ქ. გორში) რითი აიხსნება, რომ რაჭაში, სადაც სომხურ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება, იქაც ტერმინოლოგია სომხურია. ამ რიგად ერთობა ტერმინის არ არის იმის მომასწავებელი, რომ „ამქრობა“ საქართველოში შემოტანილი იყოს და რაიმე ადგილობრივი, ქართული არ ემჩნეოდეს. მილლერმაც და ნ. ი. მარრმაც მოხსენება საყურადღებოდ იცნეს, და მომხსენებელი კრებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შოთა დ—იანი.

ლაა დღეს, უსახსრობისა გამო, სასურველ მდგომარეობაშია.

ხაშურის სასწავლებლის სასარგებლოდ 7 იანვარს, გაიმართა რკინის გზის საკრებულოში წარმოდგენა. წარმოადგინეს, სხვათა შორის, ქართულად „ბაიყუში". მონაწილეობას იღებდნენ აქაურ სცენის-მოყვარენი. ამწა რმოდგენამ ისეთი ანსამბლით ჩაიარა, რომ საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა. განსაკუთრებით დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა თავისის შესანიშნავის თამაშობით ბატ. ს. გამრეკელმა. მისი საუცხოვო თამაში ბევრ გამოცდილ მსახიობს შეჰშურდებოდა.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და შემოსავალიც მოულოდნელი იყო. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც ამ კეთილ საქმეს ხელი შეუწყოს თაოსნობით, დახმარებით, თუ წარმოდგენაში მონაწილეობით. **გ. წყალტუბელი.**

ღია წერილი

ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს.

ამ რამდენიმე ხნის წინად თქვენ, ბ. იაკობ, „სახალხო გაზეთის" შეწეობით ქვეყანას აუწყეთ, რომ იმერეთის საეპარქიო საბჭომ ქართველ მეთვალყურის დროს (მხედველობაში მე გყავდით), სამშობლოს უღალატა, რუსეთის ბიუროკრატიას გადააჭარბა, ისეთი რამე ჩაიდინა, რაც ამ უკანასკნელსაც არ ჩაუდენია: **უკანონოდ** შემოიღო იმერეთის საეკლესიო სკოლებში პირველ წლიდანვე რუსულ ენის სწავლებაო.

ამის შემდეგ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა იმავე საგანზე. მათი ავტორები ენდვენ თქვენს ავტორიტეტს და თქვენის სიტყვების სამართლიანობის გამოუძიებლად მოჰყვნენ მათს განმეორებას... თქვენ ისეთის რიხით წამოაყენეთ ხსენებული ბრალდება საბჭოს წინააღმდეგ, რომ აბა როგორ წარმოიდგენდა ვინმე, რომ თქვენ, მხცოვანი პედაგოგი, ამა თუ იმ კანონის და მის დარღვევაზე დასწერდით რასმე ამ კანონის უცოდინრათ, მის წაუკითხავადაც კი.

მაგრამ...

ნება მიბოძეთ სამი პატარა კითხვა მოგცეთ:

1) **წაგიკითხავთ თუ არა** სინოდის მიერ 1902 წელს დამტკიცებული ოთხი წლისათვის განაწილება სამრევლო საეკლესიო სკოლებში სასწავლო საგნებისა საქართველოს საეგზარხოსოში, *) რომლის დარღვევაც დასწამეთ იმერეთის საბჭოს?

2) თუ წაგიკითხავთ, **მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება** მე-7 გვერდზე დაბეჭდილს სიტყვებისათვის:

რუსული ენა. წელიწადი პირველი. პირველი-ნახევარი. (კვირაში 9 გაკვეთილი, ამ რიცხვში შედის 3 გაკვეთილი წერისაც. ლექსიური განყოფილება (ლაპარაკში გასავარჯიშებელი გაკვეთილები). *)

წინასწარი ზეპირი ვარჯიშობა სიტყვების შესათვისებლად წინადადებისა და მოთხრობის შესადგენად რუსულ ენაზე, უმთავრესად თვალსაჩინო გზით პატარ-პატარა მოთხრობები და ლექსები ზეპირად?

და 3) თუ წაკითხული გაქვთ ყველა ეს, **რითი ხელმძღვანელობდით,** როცა ბრძანეთ, რომ იმერეთის საბჭო **უკანონოდ მოიქცაო?**

გთხოვთ ამ კითხვებზე **გადაჭრილი პასუხი** მიბოძოთ. **სხვა კითხვებს ნუ აურევთ.** მიპასუხეთ მკაფიოდ და გარკვევით, რაში გამოიხატა საბჭოს მიერ **უკანონობა, კანონის გადაჭარბება**—ე. ი. ის, რაშიაც თქვენ ბრალი დასდევთ საბჭოს ყველა წევრებს...

არ ვიცი, რა პასუხს გამცემთ. ჩემის აზრით კი ხსენებულ თქვენ წერილზე ორი რამ შეიძლება ითქვას:

თქვენ ან **არ იცოდით** იმ კანონის შინაარსი, რომლის დარღვევაც გვიკიჟინეთ—რაიც სრულიად არ ეკადრება მხცოვან პედაგოგს და სერიოზულ პუბლიცისტს; ან და—**განგებ დაივიწყეთ** ეს შინაარსი.

თუ რა სახელის ღირსია ამ უკანასკნელ შემთხვევაში თქვენი საქციელი, ეს, დეე, თვით საზოგადოებამ განსაჯოს.

ქ. გორი. **თ. ჟორდანია.**

ქართული საღამო

ვარშავაში

22 იანვარს, ქართველმა სტუდენტებმა გამართეს ქართული საღამო. სამი თვე ემზადნენ საღამოს გამგენი, და შესამჩნევი საღამო გამართეს. დანიშნულ დღემდისვე გაიყიდა თითქმის ყველა ბილეთები. საღამო გაიმართა „შვეიცარიის დოლინა"-ში, რომელიც სიდიდით მეორე შენობათ ითვლება ვარშავაში. აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ საღამო სწორედ რვა საათზე დაიწყებაო და, ამიტომ ჯერ რვა საათი არც კი იყო რომ შენობა გაიჭედა. დარბაზი მორთული იყო ყვავილებით, ნაძვის ხეებით, გრეხილებით, ნოხებით და სხ.

აიხადა ფარდა. განგებ ამ საღამოსათვის დახატულ დეკორაციით მორთულ სცენაზე გამოჩნდა ქართულად გამოწყობილი **მომღერალთა გუნდი,** სამოცამდე კაცი და ქალი, სტუდ. **ტერენტი ვეფხვაძის** ლოტბარობით. იმღერეს: „სამშობლო", კ. მაღრაძის გადაკეთებული ხალხური (იმერული) სიმღერა: „აბა დელი დელია". თითქმის ყველა მომღერლები რუსები იყვნენ, მაგრამ გარკვევით გამოსთქვამდნენ ყოველ სიტყვას. სამი თვის მზადებამ ნაყოფი მოიტანა, — ხორო საუცხოვოდ იყო მომზადებული. ყოველ სიმღერის შემდეგ ოვაციებს ბოლო აღარ ჰქონდა. ბოლოს ხორომ იმღერა „ვახტანგ მეფე", რომელიც საზოგადოების თხოვნით ორჯელ გაიმეორეს.

ხოროს შემდეგ ვარშავის ოპერის დირექტორმა ბ. მეტაქსიანმა იმღერა რომანსები; კმაყოფილმა საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია კარგი მომღერალი. ბრჟენზინსკაიამ კარგად იმღერა ქართული („ნანა შვილო") და რუსული რომანსები. არტისტმა პეტროვ-კრაევსკიმ გრძნობიერად წაიკითხა რამოდენიმე ლექსი. პირველი განყოფილება დაათავა ბ. კორტმა ვიოლონჩელზე დაკვრით და დიდად ასიამოვნა საზოგადოება.

მეორე განყოფილებაში **სტ. ახიაშვილმა** იმღერა ქართული რომანსი „ახალ აღნაგო ხულო" (მუს. ფალიაშვილისა). საზოგადოებას ძალიან მოეწონა რომანსი და გაამეორებინა. შემდეგ **არტისტკა გორსკაიამ** წაიკითხა რუსულად რამოდენიმე ლექსი.

ამის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ისევ ხორო და იმღერა: „ფაცხა" ფოცხვერაშვილის დ „აღსდეგ გმირთ გმირო"—მარში. ორივე სიმღერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით კი „აღსდეგმა", რომელიც ორჯერ გაამეორებინეს და საზოგადოება მაინც არა სცხრებოდა და თხოულობდა მესამეთ განმეორებას. იმ დროს, როდესაც ლოტბარი სტუდ. ვეფხვაძე საზოგადოებას თავის დაკვრით მადლს უხდიდა, სცენაზე გამოვიდა ჩერქეზულად გამოწყობილი სტუდ. ვანო გველესიანი და ამხანაგების სახელით მადლის გადახდის შემდეგ ლოტბარს გულზე დაუბნია ჟეტონი შემდეგი წარწერით: „ტ. გ. ვეფხაძეს მადლიერ თანამემამულეთაგან". ამის შემდეგ ხორომ იმღერა კორნელი მაღრაძის: „შარი შური"—ან როგორც აქ კურსისტკები ეძახდნენ: „შური მური", რაიც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ რომ ბ. კ. ლ. მაღრაძის მიერ გადაკეთებული ხალხური (იმერული) სიმღერები თავის მკვირცხლი და მხიარული ტემპით საზოგადოებას აჯადოებდა.

დასასრულ სცენაზე მოაწყვეს ეთნოგრაფიული სურათი: „**ქორწილი საქართველოში**". სცენა წარმოადგენდა აღმოსავლეთის გემოვნებაზე მოწყობილ ოთახს: ნოხებით, იარაღით მორთულ კედლებით და სხვა. სცენაზე იყვნენ დედმამა დედოფლიხა და ელოდნენ მექორწინეთ. ფანჯარაში მოსჩანდა მაღალი მთები და გზა მათ შორის. მთებში გამოჩნდა მაყრიონი სიმღერით და თოფის სროლით. რაც უფრო უახლოვდებოდნენ სცენას, მით უფრო ხმა მაღლა მოისმოდა სიმღერა. გაიღო თუ არა კარები ორმა ვეზირმა შემოსვლისთანავე ხმლები გადააჯვარედინეს კარების თავზე და ქვეშ გამოატარეს მეფე-დედოფალი. მილოცვის შემდეგ დედ-მამამ სტუმრები გაშლილ სუფრაზე მიიწვიეს ამოირჩიეს ტოლუმბაში, დაიწყეს სიმღერა, სადღეგრძელო და გაჩაღდა ქეიფი. საუცხოვოდ იცეკვეს ზურნაზედ **მიშა ქორქიამ და ქ-მა ხუციშვილმა.** შემდეგ აცეკვეს მეფე-დედოფალი: სტუდ. **გორგიძემ და ჰ—მ.** საზოგადოებას, რომლებშიაც მრავალი პოლონელები ერივნენ, ძალიან მოეწონათ ლეკურ-უზუნდარა-კინტაურის, თამაში; ეს უკანასკნელი იყო მიზეზი რომ, როცა ბოლოს სტუდ. ვ. გ—მა და მ. ქ—მ ლეკური იცეკვეს, რის დროსაც ფარდა ნელ-ნელა ეშვებოდა, საზოგადოება არა სცხრებოდა და ითხოვდა ლეკურის განმეორებას.

კანტორისაგან

პრემია „გრდემლი" პროვინციის წლიურ ხელის მომწერლებმა უნდა მოიკითხონ:

ქუთაისში— წიგნის მაღაზია „იმერეთ"-ში.
გორში—საურთიერთო ნდობის ბანკში, ე. ხუციშვილთან.
ბათომში—ქალაქის საავადმყოფოში, ირ. ავალიშვილთან.
სამტრედიაში—ქ. შ. წ. კ. საზ. განყოფილების კიოსკში, კალაძესთან.
თელავში—ქ. შ, წ. კ. საზ. განყოფილებაში, ივ. პაატაშვილთან.
სოხუმში—ნიკო ჯანაშიასთან.
ჭიათურაში—საურთ. ნდ. ბანკში სოფრონ ტარუაშვილთან.

დანარჩენი წლიური ხელის მომწერნი რომელთაც 30 კ. არ წარმოუდგენიათ „გრდემლი" უნდა მოიკითხონ გაზეთის კანტორაში, ტფილისში. რომელთაც წარმოდგენილიაქვთ 30 კ. ისინი მიიღებენ პრემიას ფოსტით.

წლიურ ხელის მომწერლად ითვლება ის, ვისაც ხელისმოწერისთანავე წარმოდგენილი აქვს არა ნაკლებ 3 მ. და დანარჩენი ხელის მოწერის ფასიც გადახდილი იქნება იმ ვადებზე როგორც გამოცხადებული გვქონდა.

ხელის მომწერნი რომელთაც ჩვენ გაზეთზე ხელი მოაწერეს წიგნის მაღაზია „იმერეთი"-ს საშუალებით პრემია „გრდემლ-ს მიიღებენ ცოტა დაგვიანებით. **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.**

აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა მთელი ხორო, რომელიც თითქოს ვიღასაც ელოდა. ამ დროს სტუდ. გორგაძემ ხელ გაყრილი გამოიყვანა სცენაზე ამ საღამოს გამგე ჩვენი თანამემამულე დ. სტ. სოვ. **პ. ნ. სულხანიშვილი.**

გ. გიორგაძემ მიმართა გრძნობიერი სიტყვით; გადაუხადა მადლი ამხანაგების სახელით და პატივისცემის ნიშნად გადასცა ოქროს ჟეტონი, რის შემდეგ ხოხომ უმღერა მას „მრავალჟამიერი".

დარბაზში ბალი ლეკურის ცეკვით დაიწყო. შემდეგ მოჰყვა ევროპიული ცეკვა სტუდ. **შ. სანიკიძის** დირიჟორობით.

ბუფეტში მხოლოდ კავკასიური საჭმელები იყო. კიოსკებში გამოფენილი იყო ტაბლისკვერი, ბია, უნაბი, ჩურჩხელა და სხვა ჩვენებური ხილეულობა, რაიც საზოგადოებას ძალიან მოეწონა და თითქმის ერთი საათის განმავლობაში სულ ერთიანად დაიტაცეს. 12 ფუთმა კახურმა და 6-მა ფუთმა სვირულმა ღვინომ საზოგადოებას ალმიც ვერ მოუკლა. კავკასიური საჭმელების მსურველნი იმდენი იყო, რომ შეუძლებელი გახდა ყველას დაკმაყოფილება.

საღამო დილის 6 საათზე დასრულდა, ნასიამოვნები საზოგადოება ნელ-ნელა თავიანთ სახლებში წავიდნენ.

შემოსავლის მხრივ საღამომ, ისე როგორც შინაარსის მხრით, მიაღწია მიზანს, თუმცა ეს პირველი მაგალითია ვარშავაში, რომ სათვისტომოს საღამოს ამდენი საზოგადოება მოეზიდოს და ასეთი შემოსავალი მოეცეს.

ქართველი სტუდენდები უღრმეს მადლობას უძღვნიან ბ. კორნელ ლ. მაღრაძეს, რომელმაც დროზედ მოგვაწოდა როგორც თვისი, აგრეთვე სხვა ქართული სიმღერებიც.

ქართული სიმღერები ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ საღამოს მეორე თუ მესამე დღესვე მივიღეთ წინადადება, რათა ჩავაწერინოთ ეს სიმღერები ფირფიტებზე გრამმაფონისთვის.

სტუდენტი **ვანო გველესიანი.**

წერილი სტამბოლიდან

III.

მეზობელ სამეფოთა განწყობილება ოსმალეთისადმი და შინაური მდგომარეობა მაკედონიაში და კუნძულ კრიტოსზე.

მას შემდეგ რაც პარლამენტი დაითხოვეს, დიდი ვეზირი საიდ-ფაშა დიდ სამზადისშია; სხვათა შორის სცდილობს კაბინეთი შეადგინოს იმისთანა, რომელიც შესძლებს მუშაობას მომავალ პარლამენტთან. მოიწვია რამდენიმე ახალი მინისტრი, და რაც ყველაზე საყურადღებოა, შინაურ საქმეთა მინისტრად „ერთობის და პროგრესის" კომიტეტის მთავარი მდივანი ადილ-ბეი. უკანასკნელის დანიშვნას მემარცხენეები კარგად მიგებენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ ჰაჯი-ადილ-ბეი მოსპობს შინაურ არეულობას გამჭრიახ პოლიტიკით, რომელიც გამოიხატება რეფორმაში და დათმობაში. „ნეტარ არიან მორწმუნენი"! იმედიც კარგია! ოსმალეთში მყუდროება არ არის, გაზაფხულზე დიდ არეულობას მოელიან ოსმალეთის ევროპაში და ამიტომ მთავრობა დიდ სამზადისში უნდა იყოს.

გაზაფხული რომ მეტად კრიტიკული იქნება, არავინ არ უარჰყოფს. მართალია ოსმალეთში ყოველ ზაფხულობით იფეთქებს ხოლმე აჯანყება ამა თუ იმ ერისა ან თემისა, მაგრამ წრეულს განსაკუთრებითი პირობები უწყობს ხელს.

კუნძული კრიტი საბერძნეთისკენ იწევს, ბოლგარია გაცხარებული მოქმედებს მაკედონიაში და ადგილობრივ ბოლგართაგან ადგენს რაზმებს, რომლებიც ეხლავე დიდ არეულობას იწვევენ და შეტაკებაც ხშირ მოვლენად გადიქცა ოსმალეთის პოლიციასა და ბოლგარ-რაზმებს შორის.

სერბიაც ამავე გზით სცდილობს რაიმეს გამორჩეს ოსმალეთს და იმასაც შეაქვს დეზორგანიზაცია მაკედონიაში. **ბოლგარეთისთვის** და სერბიისთვის ეს ადვილია, ვინაიდან საზღვარი ახლოა.

ალბანიაც ახლა უფრო მეტის, სიმტკიცით მოითხოვს რეფორმებს წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებაა მოსალოდნელი. მთელი მაკედონიის ჰაერი აჯანყების და პროვოკაციის სუნით არის გაჟღენთილი, რომელშიც ზემოხსენებულ პატარა სამეფოებს გარდა — წილი რამდენიმე დიდ სახელმწიფოსაც უდევს და ყველა მათგანი ცალკ-ცალკე გამორჩენას ელის. ამისთანა მომავალის მოლოდინში მთავრობას ათასი რამე აქვს გასაკეთებელი და პროექტები-პროექტებზე ცხვება. ვნახოთ — შესძლებს განახლებული მთავრობა მომწიფებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას თუ ვერა?

„ერთობის და პროგრესის" კომიტეტი რომლის ხელშიც არის ფაქტიურად დღევანდელი სახელმწიფოს მექანიზმი ჰაჯი-ადილბეის დანიშვნით დათმობის გზას ადგება და საშინაო მდგომარეობას რეფორმით მოსპობსო.

რომ უფრო ნათელი გახდეს თვითეულ ეროვნების ან მეზობელ სახელმწიფოს მოქმედება ოსმალეთის ევროპაში, მოვიყვან მაგალითებს: ოსმალეთის ევროპა, კონსტანტინეპოლის ვილაიეთის გამოკლებით, დაყოფილია 8 ვილაიეთად (გუბერნია-საადმინისტრაციო ერთეულია), სადაც ცხოვრობენ ბერძნები, ბოლგარეები, სერბიელნი ალბანიელები. თუმცა თვითეული ეროვნება არ არის დასახლებული მტკიცედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაგრამ მაინც შეიძლება მიუთითოთ მათ სამშობლო-საცხოვრებელზე. მაგალითად! სკადარის (სკუტარი), მონასტირის (ბიტოლია) და იონნიას (ჟანია) ვილაიეთები ჩაითვლება ალბანეთის ტერიტორიად; კრიტეის ვილაიეთი—ბერძნებისა; კოსოვო — სერბიელების, ხოლო დანარჩენი სამი: ადრიანოპოლის, სალონიკისა და ჩიტალჯის ვილაიეთები ნარევია და მოსახლეობენ განსაკუთრებით — ბერძნები—ბოლგარები და ოსმალები.

ამ ვილაიეთებში ხდება აჯანყება, ტერორი, პროვოკაცია და ყოველივე მითქმა-მოთქმა და უცხო სახელმწიფოთა ჩარევა.

დავიწყოთ ალბანიიდან. ალბანიის აჯანყებაზე ყველას სმენია აბდულ-ჰამიდის დროს განსაკუთრებულ უპირატესობით სარგებლობდნენ, ხოლო ახლა ყოველივე მოაკლდათ და ეროვნულ თვითგამორკვევის გზას დაადგნენ. მთავრობას ყოველთვის უყენებენ სხვა და სხვა ეროვნულ მოთხოვნილებას. ქ. დღებრას (მონასტრის ვილაიეთში) მომხდარ მიტინგზე ალბანელებმა შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: 1) აღდგენილ იქმნას ჩვენი ეროვნული ჯარი (აბდულ-ჰამიდის დროს იყო); 2) სამხედრო ბეგარა უნდა მოვიხადოთ ოსმალეთის ევროპაში და 3) შემცირებულ იქნას ზოგიერთი გადასახადები და ბაჟები, განსაკუთრებით ცხვარზე. ამას გარდა, ამას რომ დაუმატოთ სხვა და სხვა დროს მოთხოვილი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილება—შორს აღარ იქნება ავტონომიიდან. მთავრობაც სცდილობს მორიგებას მათთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბევრს ვერაფერს დაჰპირდა.

ამხანად სამინისტრომ მსჯელობა იქონია ალბანიაში ცვლილების შეტანის შესახებ და დაადგინა: მოხდეს პოლიციისა და ჟანდარმერიის რეორგანიზაცია, გაკეთდეს უბრალო და შარა გზები, ხიდები და რკინის გზები.

მომავალი გვაჩვენებს შეიძლება თუ არა მხოლოდ ამით ალბანიის დაკმაყოფილება! **დ. გიორგაძე.**

(დასასრული იქნება)

არეულობა სპარსეთში

(დეპეშები)

ქოი. ქოი-ჯულფის გზაზე სამ კაზაკს შეიარაღებულ მხედართა ჯგუფი დაეცა. ნახევარ საათის განმავლობაში სროლა არ შეწყვეტილა. თავდამსხმელებმა მოკლული ამხანაგი გაიტაცეს და გაიქცნენ. კაზაკებს არა დაშავებიათ რა.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

პეკინი. ევროპიულ კალენდრის შემოღების გამო, იუანშიკაიმ განკარგულება გამოსცა: სავალდებულოა ახალი წლის დღესასწაული ჩინეთის რესპუბლიკის პირველი წლის მეორე თვის მე 18 დღესაო.

ხანკოუ. ახალ წელს ჩინეთის საბჭოს და ფოსტის შენობაზე პირველად ააფრიალეს რესპუბლიკის დროშა.

ხარბინი. ფუცზიადუნში ჩინელთა ჯარის ერთი როტა შეეცადა თვითმართველობაში დაეპატიმრებინა 40 კაცი, რომელთაც რევოლიუციონერები უწოდეს თავსა. გარემოცულთ დამორჩილება არ მოისურვეს, სროლა დაუწყეს და ორი ჯარის-კაცი დასჭრეს. ჯარმა 6 მოჰკლა, 30 დააპატიმრა. გარნიზონის უფროსმა დაპატიმრებულთა ჩამოხრჩობა ბრძანა.

გაზეთებიდან.

ჩინეთის რესპუბლიკა.

თანდათან შფოთისა და არეულობის ადგილს ჩინეთში მშვიდობიანი მუშაობა იჭერს. მანჯურელთა ბატონიშვილებს, როგორც ეტყობა, სამუდამოდ გადაუწყდათ იმედი მონარქიულ წეს-წყობილების აღდგენისა. ამას გარდა, ცნობამ, რომ ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან ჯამაგირით, ცოტათი დააშოშმინა. რესპუბლიკის მომხრე ჯარი კი გაამხნევა იმ გარემოებამ, რომ რესპუბლიკის მთავრობამ დიდი სესხის აღება მოახერხა. ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენლებიც ფერს იცვლიან. ხანკოუში, მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტს ოფიციალურად შეუტყობინებია უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებისათვის, რომ ჩინეთში რესპუბლიკა დაწესდა. ყველაზე უფროსმა რუსის ელჩმა ტიმჩენკო—ოსტროვერხოვმა მიდეველობაში მიიღო ეს ცნობა და იმედი გამოსთქვა, რომ ახალი მთავრობა უზრუნველყოფს ხალხის მშვიდობიან ცხოვრებასა და განვითარებას. ოფიციალური ცნობა რესპუბლიკის დაწესების შესახებ პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩსაც მიუღიათ. მათ სახელდახელოდ თათბირი გაუმართავთ და გადაუწყვეტიათ, ახალ ინსტრუქციის მიღებამდე, თავის ადგილას დარჩნენ. საელჩოს ყველა მოხელეებმა საჩქაროდ ახალი ფორმის ტანისამოსი და ახალი სადარბაზო ბარათები შეუკვეთეს. იქვე ამ ახლო მომავალში, რესპუბლიკის დაწესების გამო, რაუცის გამართვას აპირობენ.

უცხოეთი

სამხედრო სასამართლოს წინააღმდეგ.

როგორც გაზეთ „რეჩს" პარიზიდან ატყობინებენ, კვირას პარიზში დიდი მანიფესტაცია უნდა მომხდარიყო სამხედრო იუსტიციის წინააღმდეგ. მანიფესტაციაში მონაწილეობას მიიღებდნენ: ერთის მხრივ შრომის მთავარი კონფერენცია პარიზულ სინდიკატებით და მეორეს ადამიანის უფლებათა ლიგა თავისის სექციებით.

მანიფესტაციის საბაბი დისციპლინარულ ბატალიონში მსახურების დროს წამებისაგან დაღუპულ მუშა-სინდიკალისტის გადმოსვენება იყო. მიცვალებულის გვამი ჩრდილოეთ აფრიკიდან პარიზში მოასვენეს. „იგი თქვენ მოჰკალით, მაგრამ მისი გვამი კი ჩვენ გვეკუთვნისო", ედავებოდნენ კონფედერაციის წარმომადგენლები სამხედრო უწყებას და ბოლოს მართლაც მოიპოვეს უფლება, კატორღაში [illegible] საფრანგეთში გადმოსვენებისა პარიზში [illegible] წყევლა კრულვით სავსე სიტყვების შემდეგ პერ-ლამეზის სასაფლაოზე ცხედარი უნდა დასწვან.

ეს მანიფესტაცია უფრო იმითაა გამოწვეული, რომ აკრაკის სამხედრო კატორღიდან გაანთავისუფლონ მეორე მუშა სინდიკალისტი რუსსე, „მსხვერპლი მილიტარიზმისა". რუსსე მოწმე იყო იმ წამებისა, რომლის შემდეგ მისი ამხანაგი გარდაიცვალა და მან მაშინვე განაცხადა, ქვეყანას ვამცნებ, თუ რა საზიზღრობა ჩაიდინეთო. ბევრი ემუდარნენ, არ გაემჟღავნებინა, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს მას ხუთი წლით კატორღა მიუსაჯეს. მაგრამ სინდიკალისტებმა მიტინგები გამართეს და მოსთხოვეს დეპუტატ—სოციალისტებს, შეკითხვა შეეტანათ პარლამენტში. მართლაც რუსსე უკანვე დაბრუნეს დისციპლინარულ ბატალიონში, ხოლო მწვალებლები ერთი ლეიტანტი და ორი უნტერ ოფიცერი პასუხის გებაში მისცეს. ლეიტენანტიც და უნტერ ოფიცრებიც გაამართლეს, ხოლო რუსსე კვლავ სამართალში მისცეს: მის როტაში სალდათები წაიჩხუბენ, რომლის დროს ერთი სალდათი მოკლული იქმნა, და მიუხედავად იმისა, რომ რუსსეს მონაწილეობა არ მიუღია ჩხუბში, იგი გაასამართლეს და 20 წლის კატორღა მიუსაჯეს.

ეს საქმე საკასაციო სასამართლოს გადაეცემა. კონფედერაციამ რუსსე უდანაშაულოდ დასჯილ „მუშა პიკარად გამოაცხადა.

დეპეშები

საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

7 თებერვალი.

ხორვატელთა დემონსტრაცია.

ვენა. „კორესპონდენტ.-ბიუროს" სარაევოიდან შემდეგი დეპეშა მიუღია: საღამო ხანს კათოლიკეთა ტაძართან ხორვატელებმა უნგრეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს. პოლიციამ მოსთხოვა ხალხს დაშლილიყო. ხალხმა რევოლვერისა და ქვის სროლა დაუწყო. პოლიციამ იარაღი იხმარა და მოედნიდან ხალხი გარეკა. მოკლულია ერთი სტუდენტი, ქვით დაშავებულია პოლიციელი. ჯარი რომ გამოჩნდა, დემონსტრანტები დაიშალნენ. საღამოს ცხრა საათზე მშვიდობიანობა ყველგან აღადგინეს, მაგრამ ქუჩებში ჯარი მაინც იდგა. ბევრი დააპატიმრეს.

ახალ ცნობების მიხედვით, წუხელის სარაევში მშვიდობიანობა დამყარებულა. უნივერსიტეტში ლექციებსა კითხულობენ. დაპატიმრებულნი 5 თებერვალს გაანთავისუფლეს. ხორვატელთა დემონსტრაციაში სტუდენტები და მუშები ღებულობდნენ მონაწილეობას, სოციალისტები კი განზე იდგნენ.

5 თებერვალს ერთი კაცი ცხენით გათელეს და ხმლით დასჭრეს. გაზეთები პოლიციის მოქმედებას ჰგმობენ და ჯარისას იწონებენ. აუარებელ ხალხის თანადასწრებით 5 თებერვალს ამ ამბის გამო სეიმის სხდომა დაიწყო. მთავრობის წარმომადგენელნი არ დასწრებიან. ბურგომისტრმა სთხოვა პრეზიდიუმს, მთავრობას პასუხი მოსთხოვეთ პოლიციის მხეცურ მოქმედების გამო და გლოვის ნიშნად სხდომა დავხუროთო. ხალხს მშვიდობიანობა ურჩია. მისი სიტყვა მთელმა პალატამ მოიწონა. სხდომა დახურეს.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ სარაევში სდუდენტი ერთ-ერთ დემონსტრანტს მოუკლავს, დამნაშავე ვერ აღმოუჩენიათ.

სარაევი. დღეს არეულობა არ მომხდარა. მხოლოდ საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებმა დემონსტრაცია გამართეს: სიმღერითა და ეროვნულ დროშებით ქუჩებში დადიოდნენ,

მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. გლაზგოს გემის მშენებელ ქარხნის მუშებმა არ მოისურვეს ასკვიტის მიერ შესარიგებელ ხელშეკრულების მიხედვით მუშაობის დაწყება და უკმაყოფილონი არიან. აუარებელი საქონელი, რამდენიმე მილიონად ღირებული, უქმა-

---

*) Распредѣленіе на четыре года учебныхъ предметовъ въ церковно-приходскихъ школахъ Грузинскаго Экзархата.

**) Русскій Языкъ. Годъ первый. 1-е полугодіе. (Въ недѣлю 9 уроковъ, включая въ это число и 3 урока письма. Лексическій отдѣлъ (разговорные уроки).

Предварительныя устныя упражненія въ усвоеніи словъ и составленіи фразъ и разсказовъ на русскомъ языкѣ, преимущественно нагляднымъ путемъ. Небольшіе разсказы и стихотворенія изусть.

და აწყვია. ფირმამ პოლიციას დახმარება სთხოვა საქონლის გადაზიდვაში, მაგრამ უარი მიიღო. სხვა ფირმა კი არა კისრულობს უმცველოდ გადაზიდვისა.

მფრინავის დაღუპვა.

ლონდონი. გაზეთების სიტყვით, სან-ფრანცისკოში ორი ბიპლანი 14 საჟენის სიმაღლიდან ჩამოვარდნილა. გერმანელი მფრინავი გოფი გარდაიცვალა, ინგლისელი გლენმარტიონი გადარჩა.

ამერიკელთა უკმაყოფილება.

ვაშინგტონი. კოლუმბიის ელჩმა სახელმწიფო დეპარტამენტს წინადადება მისცა, სტატს-სეკრეტარი ნოქსი, შუა ამერიკაში მოგზაურობის დროს კოლუმბიით ნუ შემოივლის, რადგანაც მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა პანამის არხი შეიძინეს, კოლუმბიასთან უთანხმოება ჩამოვარდაო.

სოციალისტთა კონგრესი.

პარიზი. ლიონში გაერთიანებულ სოციალისტთა მეცხრე ეროვნული კონგრესი გაიხსნა. სააგრარო, სამუნიციპალიტეტო და საორგანიზაციო საკითხთა გარდა, განსახილველია სოციალისტებისა და მასონების ურთიერთობის საკითხი.

ინგლისი და რუსეთი.

ლონდონი. „ტაიმსი“ მოწინავე წერილში გრეის სიტყვის გამო სწერს: ამ სიტყვამ უნდა დაამშვიდოს ინგლისელნი, რომელნიც ინგლის-რუსეთის მახლობელ აღმოსავლეთის პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებენო. ინგლისელების პეტერბურგში გამასპინძლებამ კარგად დაუმტკიცა ყველას რუსეთსა და ინგლისის მეგობრობა. დელეგაციის წასვლამ ორი ეროვნება ერთმანეთს დაუკავშირაო.

ბურიანის გადადგომა.

ვენა. იმპერიის ფინანსთა მინისტრმა ბურიანმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა მიართვა მთავრობას, რადგან უნგრეთის ქვეშევრდომის ბერტჰოლდის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ სამინისტროში ორი მადიარია და ეს კი ტრადიციას ეწინააღმდეგებაო, იმპერატორს ბურიანის თხოვნა ჯერ არ შეუწყნარებია.

გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულმა ბერტჰოლდმა ერთგულების ფიცა მიიღო.

ახალი სამინისტრო.

ქრისტიანია. შესდგა ახალი სამინისტრო. მინისტრ-პრეზიდენტად ბრატლიეა, ირგენსი—გარეშე საქმეთა მინისტრი, პროფეს. შპანგი—იუსტიციისა, ენიე—მიწათმოქმედებისა, კონოვო—ფინანსთა მინისტრად იქნება, ლილიედალი—სარწმუნოებათა, ლუდვიგი—ვაჭრობისა, ბრენე—საზოგადო სამუშაოთა.

ერენტალის სიკვდილის გამო.

ვენა. იმპერატორმა რესკრიპტით ერენტალის ქვრის თანაგრძნობა გამოუცხადა.

ფრენა.

პარიზი. ველოსიპედ-ავტომობილის საზოგადოება „პეჟოს“ შემდეგი საინტერესო პრიზი დანიშნა; მიეცეს 10,000 ფრანკი იმ პირს, ვინც გაფრინდება სიგძით ათ მეტრს, უმოტოროთ ე. ი. მხოლოდ თავის ღონით.

რუსეთი.

პეტერბურგი. გაზეთ „ზვეზდას“ 5 თებერვლის ნომერს ყადაღა დაადვეს. რედაქტორი სამართალში მისცეს 1034, 128 და 129 მუხლების ძალით.

მოსკოვი. ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვის მცხოვრებლებს ორასი ათასი კაცი მიემატებია.

აკრძალეს „გოლოს მოსკვის“ 29 ნომერი. რედაქტორი 1034 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

ლოძი. ზგერჟის სტამბაში ებრაელთა ნებადაურთველ ლატარიისთვის ბილეთების ბეჭდვა აღმოაჩინეს.

პეტერბურგი. გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ყაზანის უნივერსიტეტის რექტორად ნამყოფი **ზაგოსკინი.**

სახალხო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, წელიწადზე ადრე არ შესცვალონ სკოლებში შემოწირული სახელმძღვანელოები.

სახალხო განათლების სამინისტრომ კანონ-პროექტი წარუდგინა მინისტრთა საბჭოს, რომელშიაც იმ პირთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას მოითხოვს, რომელნიც უნივერსიტეტის სამოსწავლო დამხმარე დაწესებულებებში მსახურებენ, აგრეთვე მოითხოვს მათი რიცხვის გადიდებას. ხარჯი 1.200.000 მანეთი დასჭირდება.

პეტერბურგი. სენატმა განიხილა საკითხი: 1) აქვთ თუ არა უფლება ებრაელთ მაზრებში, ბინადრობის ფარგალში, ქარხნებისათვის შენობების ასაგებად მიწების იჯარით აღებისა და 2) შეუძლიათ თუ არა მათ სოფლად გლეხის კარ მიდამოში ოთახის დაქირავება. სენატმა ორივე უკანონოდ სცნო.

თეატრი და ხელოვნება

ბაქო. წინა წერილში ვწერდი, რომ ბაქოელი სცენის-მოყვარენი, თუ მოისურვებენ, ძნელ პიესასაც დასძლევენ-მეთქი. სამ თებერვლის წარმოდგენამ დამარწმუნა, რომ ბაქოს არ აკლია დახელოვნებული სცენის-მოყვარენი. ქ-ნი ჩაგუნავა, ბ-ნნი შველიძე, თალაკვაძე, მატარაძე, პავლიაშვილი, ახობაძე, ლეჟავა—ყველა ესენი სცენას შეჩვეული, გამოცდილი მოთამაშენი არიან. ამათ გარდა სხვებიც არიან თურმე, რომელთა ნახვის ბედნიერებაც ჯერ არა ჰქონია ამ სტრიქონების დამწერს. ყველა ამათგან სცენის-მოყვარეთა მშვენიერი დასი შესდგება. მაშ რა აკლიათ ბაქოელ სცენის-მოყვარეთ? აკლიათ, როგორც ქართველებს სჩვევიათ, ალბად, ერთ სულოვნება, ნაკისრ საქმით გატაცება, შეწყობილი მუშაობა და თამაშობა, რომელიც აგვირგვინებს საქმეს, შნოსა და ლაზათს აძლევს წარმოდგენას, ჰქმნის ანსაბლს. იქნებ საჭიროა მცოდნე, დახელოვნებული და სხვა საქმისაგან თავისუფალი ხელმძღვანელის მოწვევა? თუ ასეა, მაშინ წ.-კ. საზოგადოების აქაურმა განყოფილებამ და მისმა დრამატიულმა სექციამ ყოველი ღონე უნდა იღონონ და რეჟისორი უსათუოდ მოიწვიონ. იმ ჯამაგირს, რომელსაც რეჟისორს მისცემენ, მოგებით აიღებენ, რადგან კარგი წარმოდგენა ყოველთვის მეტ ხალხს მიიზიდავს. აბრკოლებს საქმეს აგრეთვე რიგიანი თეატრის უქონლობა. ეხლა წარმოდგენები იმართება მეზღვაურთა საკრებულო დარბაზში. იქ-კი სცენა ვერ არის ხეირიანი. სხვას რომ თავი დავანებოთ, უბრალო დეკორაციის გამოცვლასაც-კი მთელი ერთი საათი დრო უნდა. მითხრეს, ბაქოელი ქართველები უკვე ფიქრობენ საკუთარ თეატრის აგებაზეო. დიდი საქმე იქნება, თუ ამ ფიქრს ხორცი შეასხეს და საკუთარი თეატრი გაიჩინეს. ის გარემოება, რომ ყველა ქართული წარმოდგენა სავსეა ხოლმე, აშკარად ღაღადებს საკუთარ თეატრის საჭიროებას. რა თქმა უნდა, თეატრის აგება ძნელი საქმეა, მაგრამ შეუძლებელი მაინც არ არის. საქართველოში დღეს პატარა დაბებიც-კი ახერხებენ საკუთარ თეატრების აგებას, ხოლო ბაქოში ექვსი ათასს ქართველამდეა, ამასთან არიან შეძლებულნიც.

მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და სამ თებერვლის საღამოზე ჯერ არაფერი გვითქვამს. ამ დღეს წარმოადგინეს: „მათიკო“-ს მესამე მოქმედება და „ირინეს ბედნიერების“ პირველი მოქმედება, დადგეს ცოცხალი სურათები, წაიკითხეს ლექსები და ხორომ შეასრულა ქართული სიმღერები. როგორც ხედავთ, ნამდვილი საყველიერო, სადღესასწაულო საღამო იყო. სექცია ყველაფრით გაუმასპინძლდა თეატრში მოსიარულე საზოგადოებას: იყო წარმოდგენაც, სურათებიც, ლექსებიც და სიმღერებიც. ასეთ საღამოს თავისი მნიშვნელობა აქვს და წინააღმდეგი არაფერი გვეთქმის, მაგრამ დასანანებელი კია ისეთ მხატვრულ ნაწარმოების შუაზე გაწყვეტა, როგორიც „ირინეს ბედნიერება“-ა. ერთი მოქმედების წარმოდგენით, რა თქმა უნდა, არაფერი დაშავებულა, მაგრამ ჩემის აზრით, უკეთესი იქნებოდა ეს პიესა სრულად ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის, ხოლო „მათიკო“ სხვა დროისთვის გადაედოთ.

მოთამაშეთა ნაკლს ორივე პიესაში დიდი პაუზები შეადგენდა. ეს საერთო სენი ყოფილა აქაურ სცენის-მოყვარეთა: ხშირად სცენის-მოყვარე მთელი წუთობით აგვიანებს პასუხს. პაუზები შეუწყნარებელია უფრო ისეთ პიესაში, როგორიც არის „ირინეს ბედნიერება“, სადაც მოქმედება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სცენის მოყვარენი აგრეთვე სცენიდან გასვლა-შემოსვლას. „ირინეს ბედნიერება“-ში აბესალო და პავლე ერთმანეთს არ უნდა ხვდებოდნენ, ნამდვილად კი რამდენჯერმე გასავალში შეხვდნენ... ერთი შედიოდა, მეორე გადიოდა. ორჯელ-სამჯელ მსახიობებმა შემოსვლა დააგვიანეს, ხოლო „ირინეს ბედნიერება“-ში აბესალოს როლის ამსრულებელმა ბ-ნმა მატარაძემ ფეხებიც კი დააბრახუნა—რატომ არ შემოდიხართო. იყო დეფექტები სცენის მოწყობილებაში, ჩაცმა-დახურვაში, გრიმში, მაგრამ ყველა ეს შედეგია უფრო სცენისა და ჯიბის სიღარიბისა, ვიდრე სცენის-მოყვარეთა დაუდევრობისა. საერთოდ კი ორივე პიესამ რიგიანად ჩაიარა. „მათიკო“-ში კარგი თამაშობით ყურადღება მიიქციეს: ქ-ნმა ჩაგუნავამ (ქეთევან), ბ-ნთ შველიძემ, რომელმაც მიკიტნის როლში ბევრი აცინა დამსწრენი, და პავლიაშვილმა (თომა), ხოლო „ირინეს ბედნიერება“-ში ბ-ნთ მატარაძემ (აბესალო), და თალაკვაძემ (ფილიპე). განსაკუთრებით აღსანიშნავია თამაშობა პავლიაშვილისა გლეხის როლში და უფრო კი თალაკვაძისა იმერელ აზნაურის როლში. ორივეს თამაშობას ბუნებრიობა, დაკვირვება და ზომიერება ახასიათებდა.

ცოცხალი სურათები ქართველთა ცხოვრებიდან დასდგეს: იყო ლხინი სოფლად, ქიდაობა და სხვა. სურათებს არა უშავდა-რა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ განათება კარგი ყოფილიყო. უკანასკნელ სურათის მომზადებას თითქმის ერთი საათი მოუნდნენ. ამოდენა ანტრაქტი შეუწყნარებელია, ყველას გული გაუწყალდა. უმთავრესად ანტრაქტის გაჭიანურება სცენის მოუწყობლობის ბრალი იყო. რაკი სცენა ასე უშლიდა ხელს, უმჯობესი იყო უკანასკნელი სურათი გამოეტოვებინათ.

ლექსების წაკითხვის შემდეგ ხორომ, ბ-ნ ჩაგუნავას ლოტბარობით, ქართული სიმღერები შეასრულა, ამასთან ბევრად უკეთესად, ვიდრე წარსულ წარმოდგენაზე. თითქმის ყველა სიმღერა გაამეორებინეს და ლოტბარი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ხოროს ნაკლი ის არის, ბანი სუსტად ისმის.

წარმოდგენის დაწყება ეხლაც დააგვიანეს, თუმცა ისე ძალიან არა, როგორც წინად. მართალია, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზია, მაგრამ კვლავ ვურჩევ სცენის-მოყვარეებს, ეცადნენ უსათუოდ ადრე დაიწყონ და ადრე გაათაონ ხოლმე წარმოდგენა.

წვრილი ამბები.

წინასწარმეტყველი. ბესარაბიის გუბერნიაში გამოჩენილა ერთი „წინასწარმეტყველი“, რომელიც სოფელ-სოფელ დაიარება და ყველას წყალს აპკურებს. იგი ქვეყნის აღსასრულის მოახლოვებას ჰქადაგებს და წმინდა ცხოვრებისადმი მოუწოდებს.

ერთ გლეხს თურმე ძვირფასი ქურქი ჰქონდა წამოსხმული. „წინასწარმეტყველმა უბრძანა: დაიჩოქე, ლოცვა უნდა წაგიკითხოო“. გლეხს დაუჩოქნია; „წინასწარმეტყველი“ მოჰყოლია რაღაცის ბუტბუტს და ბოლოს უკითხავს:

— მომცემ ქურქს?

—მოგართმევთ,—უპასუხნია გლეხს და ქურქი „წინასწარმეტყველისათვის“ გადაუცია. ამის მსგავსი ხერხით თვალსაჩინო თანხა დაუტყუვნია მორწმუნე ხალხისათვის. პოლიციას ეჭვი აუღია და „წინასწარმეტყველი“ დაუპატიმრებია. მას განუცხადებია: იერუსალიმში მინდა წასვლა და იმიტომ ვაგროვებდი ფულსაო.

ქეიფი ქალაქის ხარჯზე. სასაცილო ამბავი მოხდა ამას წინად მოსკოვში. როგორც ვიცით წარსულ იანვარში რუსეთს ინგლისელი სტუმრები ეწვივნენ. უმაღლესი წრეები ამას დიდის ამბით შეეგებნენ. სხვათა შორის მათ სადილი გაუმართა მოსკოვის ქალაქის გამგეობამ. ქალაქის გამგეობის ხმოსნებს—მეტრახტირეებს, ეს ცოტა არ იყოს მადა მოსვლიათ და ნადიმზე წაუყვანიათ ვინც კი ჰყოლიათ, ცოლები, შვილები, სიდედრები, ცოლის-დები და სხვა ნათესავები; ჰსიამოვნებიათ ნადიმი და ინგლისელ სტუმრებისათვის განმზადებული ადგილი ყველა მათ დაუჭერიათ. სახლში რომ წასულან დაუხვევიათ და თან წაუღიათ ხილი, ტკბილეულობა, მთელი კუპატები (ტორტები), დაუნტერვევიათ ყვავილების ტოტები. მარტო თეთრი იასამანი 2,000 მან. მეტისა წაუღ-წამოუღიათ. თვით ხმოსნებს კი ჯიბეები სიგარებით, ხილით ამოუტენიათ და შუაღამემდე ქალაქის ხარჯზე ერთი მაგრა უქეიფნიათ. ეხლა, როგორც ვიცით, რუსეთს ეწვივნენ საფრანგეთის სტუმრები. მოსკოვის საქალაქო კომიტეტი შეფიქრიანებულია, როგორ ამოსდოს ლაგამი მეტრახტირე—ხმოსანთა საქციელს.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გაახლებთ 95 მ. 10 კ. წმინდა შემოსავალს საიუბილეო საღამოდან **ქ. თელავში** 22-ს იანვარს გამართულიდან და გთხოვთ გადასცეთ იუბილიარს—მ. საფაროვ-აბაშიძეს.*)

საღამოს ხაზინადარი.

ალ. ციციშვილი.

ბატონო რედაქტორო!

26 ამა იანვარს ვიყავით წვეულათ დათიკო ყიფიანთან სოფელს ელაზნაურს (შორაპნის მაზრა) 15 კაცი და ქალი, სადაც ალექსანდრე მიხეილის ძე ჯაფარიძის წარმოთქმული აზრის თანახმად ერთ ხმათ იქმნა მიღებული დადგენილება: ვინც ჩვენგანი დაილაპარაკებდა არა ქართულს სიტყვას, განსაზღრულს დროის განმავლობაში, იხდიდა ჯარიმას თვითეულ სიტყვაზე თითო შაურს, რომელი ფულიც უნდა გაგზავნილიყო სასარგებლოდ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ამასთან გაახლებთ სამ მანეთ შეგროვილს ამა შემთხვევაში და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.*)

ამხანაგების მინდობილობით.

ვანო ჩხეიძე.

ბატონო რედაქტორო

მოგეხსენებათ ქართული სასოფლო სამეურნეო საბჭო სექციებათ დაიყო. სხვათა შორის შესდგა ტეხნიკური სექციაც, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა გ. ზ. ქურდიანი ხოლო მდივნად—თქვენი უმორჩილესი მონა.

ტეხნიკური სექცია მოვალედ რაცხს თავის თავს აცნობოს სოფლად, რომ ის, რჩევა-დარიგებით ადგილობრივ მისვლით და ჩვენებით დაეხმარება სოფლად ყველას უსასყიდლოდ ვისაც ჰსურს:

1) სასმელ ან სარწყავ წყლის გაყვანა.

2) ფლატეების და წყლის პირის ადგილების დაცვა-გამაგრება.

3) გზების და ხიდებ-ბოგირების გაკეთება.

4) წისქვილის, აბანოს, სკოლის, თეატრის და სხვათა შენობათა აშენება.

5) სამოსახლო ადგილების დატიხვრა.

6) საუკეთესო იარაღის და მასალის შეძენა.

7) სხვა და სხვა ქარხნების მოწყობა (ხე-ტყის, აგურის, ზეთის, საპონის და სხვა და სხვა.)

მსურველმა უნდა გვაცნობოს შემდეგის ადრესით: თბილისი, ბარათინსკი ქუჩა № 5.

ამას წინად ინჟინერი ბ-ნი ბილანაშვილი აცხადებდა წყლის გაყვანაში სოფლელთ უფასოდ დავეხმარებიო. კარგს იზავდა ეს ბატონი, რომ ჩვენს სექციას შემოერთებოდა და საერთო ძალით უკეთ დავეხმარებოდით მათ ვისთვისაც მართლა საჭირო ასეთი დახმარება.

ტეხნიკური სექცის მდივანი

გიგო თოიძე.

---

*) რედაქციამ ხსენებული ფული მიიღო. **რედ.**

*) რედაქციამ მიიღო ზემოხსენებული სამი მანეთი, **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალოჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალოჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალოჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალოჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ь, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს; ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფუთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 **გ. [illegible] ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **მ. ა. [illegible]** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ საანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში, **№ 34**, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომერებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მოშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიებას და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.18)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.9)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“
1860 წელს დაარსებული.
ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად
პარიზი 1900. ყვავილის ო-დე-კოლონი,
„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.
ХИМИЧЕСКАЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРИЯ
თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦
მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.12)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
☛ „ნაკადულ“-ზე ☚
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—25 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.